ნაირა ვირსალაძე

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი.

ციცინო დავითულიანი

ქუთაისის უნივერსიტეტისa და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

ტურიზმის განვითარების ეროვნული და გლობალური საკითხისათვის

საზოგადოების განვითარებასთან ერთად სულ უფრო მეტად გაიზარდა მომსახურების სფეროს როლი და მნიშვნელობა. მომსახურება შრომის ეკონომიკური ფორმა, ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს ურთიერთობას შრომის სარგებლიანობის საფუძველზე.

თანამედროვე პირობებში მომახურების სფერომ ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლით, მათ შორის დასაქმებულთა რაოდენობით, საგრძნობლად გაუსწრო მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფეროს და ეკონომიკის უმსხვილეს სექტორად იქცა. ეკონომიკის ,,სერვიზაციამ" მოიცვა ცივილიზებული სამყარო. აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს პროცესი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში, ხოლო იაპონიაში 70-იანი წლებიდან დაიწყო. ამჟამად აშშ-ში ყოველი ათი მომუშავიდან შვიდი მომსახურების სფეროშია დასაქმებული. ამ სფეროს მნიშვნელოვან განვითარებაზე ისიც მეტყველებს , რომ აშშ-ის მთლიან შიდა პროდუქტში მომსახურებას უჭირავს 75%, ინგლისში 64% და ა. შ.

მომსახურების სფეროს დომინირებული ადგილი უჭირავს არა მარტო განვითარებული, არამედ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში. მომსახურება როგორც წარმოებრივი, ისე პირადი მოხმარების სწრაფად მზარდ ინგრედიენტად იქცა. მომსახურების სფეროს არნახულმა პროგრესმა საწარმოო ძალების განვითარებაში თვისებრივად ახალი

ეტაპი შექმნა და მატერიალურ-ნივთობრივი წარმოება მასთან მიზეზშედეგობრივ კავშირში აღმოჩნდა. მომსახურების ძველი ტრადიციული დარგების (სატრანსპორტო, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და ა. შ.) გვერდით სწრაფად დაიწყო განვითარება მომსახურების ახალმა (საინფორმაციო, კომპიუტერული, საბირჟო და სხვა) დარგებმა.

თანამედროვე მსოფლიოში მომსახურების სფეროს ერთ-ერთ წამყვან და დინამიურად განვითარებად დარგს მიეკუთვნება ტურიზმი. იგი, როგორც მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი ჩამოყალიბდა XX საუკუნეში, თუმცა მისი ფესვები შორეული ეპოქიდან მოდის. მსოფლიო ეკონომიკაში ტურიზმის ადგილი და როლი დღითი-დღე იზრდება. იგი სწრაფად და ინტენსიურად ვითარდება. ტურიზმი მძლავრ კონკურენციას უწევს ნავთობმომპოვებელ და საავტომობილო მრეწველობის დარგებს და მსოფლიო მასშტაბით მიჩნეულია ერთ-ერთ რენტაბელურ დარგად. ტურიზმისადმი ინტერესს მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მისი განვითარების ეკონომიკური საფუძველია მოსახლეობის დასაქმება, შემოსავლებისა და თავისუფალი დროის გადიდება.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის უახლესი მონაცემების მიხედვით ამ სფეროში დასაქმებულია მსოფლიოში არსებული სამუშაო ძალის დაახლოებით 16 % და მეტი; ამ დარგში იქმნება მსოფლიო შიდა პროდუქტის 10%; კერძო მომსახურების 10,9%; მსოფლიო ინვესტიციების 11.8%; ტურიზმზე მოდის მსოფლიო ექსპორტის დაახლოებით 11% და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობის 37%, ტურისტების მიერ უცხო ქვეყანაში მოგზაურობისას იხარჯება 600 მლრდ. ამერიკულ დოლარზე მეტი და ა. შ.

ტურიზმი მრავალ ქვეყანაშია განვითარებული, მაგრამ ტურისტების რიცხოვნობით მხოლოდ ხუთი ქვეყანა ლიდერობს: საფრანგეთი, ესპანეთი, აშშ, ჩინეთი და იტალია. საფრანგეთს წელიწადში სტუმრობს დაახლოებით 75 მლნ. ტურისტი (ბაზრის წილი 9,8%), ესპანეთს 54 მლნ. ტურისტი (ბაზრის წილი 7%), აშშ-ს 46 მლნ. ტურისტი (ბაზრის წილი 6%), ჩინეთს 42 მლნ. ტურისტი (ბაზრის წილი 5,5%), იტალიას 37 მლნ. ტურისტი (ბაზრის წილი 4,9%).

ტურიზმიდან შემოსავლების მიხედვით პირველ ხუთეულშია: ამერიკის შეერთებული შტატები (74 მილიარდი დოლარი, ბაზრის წილი 12%), ესპანეთი (45 მილიარდი დოლარი, ბაზრის წილი 7,3%), საფრანგეთი (41 მილიარდი. დოლარი, ბაზრის წილი 6,6%), იტალია (36

მილიარდი დოლარი, ბაზრის წილი 5,7%) და გერმანია (28 მილიარდი დოლარი, ბაზრის წილი 4,4 %). სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ მსოფლიოში ყველაზე მეტს გერმანელები მოგზაურობენ და შესაბამისად, ყველაზე მეტს ისინი ხარჯავენ, მათი ხვედრითი წილი ტურიზმის საერთო ხარჯებში ბაზარზე შეადგენს 11,4% . შემდეგ მოდის ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეები, მათი ხვედრითი წილი ბაზარზე შეადგენს 10,5%, რაც გამოწვეულია ცხოვრების მაღალი დონით. მნიშვნელოვანი საბაზრო წილი აქვს გაერთიანებულ სამეფოსა და იაპონიას (შესაბამისად 9.1 % და 6,2%).

საერთაშორიშო ტურიზმში დანახარჯების სიდიდის მიხედვით მსოფლიოს 10 მთავარ ქვეყნას ბოლო პერიოდში შეუერთდა რუსეთის ფედერაცია და ჩინეთი.

ტურისტული ინდუსტრია მსოფლიოს მრავალი, განსაკუთრებით მთიანი ქვეყნების, მათი ცალკეული რეგიონების განვითარების ძირითადი და განმსაზღვრელი ფაქტორია. საქართველოსათვის, როგორც პირველი კატეგორიის მთიანი ქვეყანისათვის, ტურიზმი წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეტად მიმზიდველ და მნიშვნელოვან დარგს. საქართველოს საკმაოდ დიდი და მიმზიდველი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. მისი განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია არსებული ტურისტული და და საკურორტო ინფრასტრუქტურის აღდგენა, მოდერნიზება და ახალი საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი ობიექტების მშენებლობა, რადგან საკურორტო ობიექტების უმრავლესობა საბჭოთა პერიოდშია აგებული და არ შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს. უნდა აღინიშნოს,რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა პერიოდში საქართველო რუსეთის და უკრაინის შემდეგ ტურიზმის ერთ-ერთ ლიდერ ქვეყანად ითვლებოდა. ჩვენი ქვეყნის საზღვრებს ყოველწლიურად 4 - 5 მლნ. ტურისტი და ვიზიტორი კვეთდა. საქართველოზე გადიოდა 120 -ზე მეტი საერთაშორისო და შიდა ტურისტული მარშრუტი. XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში მომხდარმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ტურიზმის ინფრასტრუქტურის სრული პარალიზება გამოიწვია, რამაც ტურისტული ნაკადები მკვეთრად შეამცირა. 1993 წლიდან საქართველო ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციაში გაერთიანდა და დარგმა აღმასვლა ნელ-ნელა დაიწყო.1998-2003 წლებში ქვეყანაში ჩამოსული სტუმრების დანახარჯი საშუალოდ ერთ ტურისტზე შეადგენდა 1164 ამერიკულ დოლარს (1862 ლარი) ხოლო მთელი წლის განმავლობაში 1051 მლნ. აშშ დოლარს. აღნიშნულის შედეგად ქვეყანაში შემოდინებულ იქნა 1,2 მლრდი.

ამერიკული დოლარი (1.9 მილიარდი ლარი). 1995-2007 წლებში ტურისტთა რიცხვი 12-ჯერ და მეტად გაიზარდა, მხოლოდ 2007 წელში ტურისტების და ვიზიტორების რიცხვმა მილიონს გადააჭარბა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. მაგრამ 2007 წლის ზაფხულში საქართველოში განვითარებული მოვლენებისა და მსოფლიო გლობალური კრიზისის ფონზე ტურისტებისა და ვიზიტორების რიცხვი უმნიშვნელოდ შემცირდა, მაგრამ უდაოა , რომ მომავალში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზრდება, რასაც განაპირობებს ქვეყანაში შექმნილი სტაბილური სიტუაცია, ტურიზმის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია და ტრანსნაციონალური კომპანიების ჩვენს ქვეყანაში აქტიური შემოსვლა.

დღეს საქართველოს სტუმრობენ დედამიწის ყველა კონტინენტიდან. ტურიზმმა მოიცვა ჩვენი თანაცხოვრების თითქმის ყველა სფერო, რეალურად შეცვალა გარემომცველი სამყარო და ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. ამ სფეროს კიდევ უფრო წინ წამოწევა და სათანადოდ განვითარება მოითხოვს მის შესწავლას და ღრმა ეკონომიკურ-სტატისტიკურ ანალიზს.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით 2005-2009 წლებში საქართველოში შემოსულ უცხოელ ვიზიტორთა დინამიკა ასეთია:

საქართველოში შემოსულ უცხოელ ვიზიტორთა რიცხოვნობა

2005-2009 წლები

ცხრილი №1

წლები						აბსოლუტ.	ზრდის ტემპი

რეგიონი	2005	2006	2007	2008	2009	მატება (2005-2009 წწ)	%-ში (2005-2009წწ.)
ჩამოსულები სულ	560021	983114	1051769	1290107	1500049	940028	267,9
ევროპა	533129	935747	1009669	1243783	1447724	914596	271.6
ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპა	375068	658976	681304	811766	974871	599803	259.9
დ.ს. თ.	366054	634360	655742	784511	950751	584697	259.7
ჩრდილოეთ ევროპა	9788	17763	14533	13944	16512	6724	168.6
სამხრეთ ევროპა	11639	22599	19502	19922	23409	11770	201.1
დასავლეთ ევროპა	20418	32304	29630	29061	31491	11073	154.2
აღმოსავლეთ-ხმელთაშუა ზღვისპირა ევროპა							
ამერიკა	116216	204105	264700	369090	401441	285225	345.4
	14842	19417	16865	17489	19555	4713	131.7
აღმოსავლეთ აზია და ოკეანეთი							
ახლო აღმოსავლეთი	3244	13732	9415	9459	11016	7772	339.5
სამხრეთ აზია	973	2105	2497	3245	3298	2325	338.9
აფრიკა	6641	9977	10873	13457	14572	7931	219.4
	431	777	883	640	1030	599	238.9

წყარო: შსს/ საქართველოს სასაზღვრო პოლიცია.

როგორც №1 ცხრილიდან ჩანს, საანალიზო პერიოდში, უცხოელ ტურისტთა რიცხოვნობის აბსოლუტურმა მატებამ შეადგინა 940 028 ერთეული, ხოლო ზრდის ტემპმა

267,9 %. განსაკუთრებით გაიზარდა ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპიდან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან ჩამოსულ ტურისტთა რიცხვი. ევროპის ქვეყნებიდან საქართველოსადმი დიდ ყურადღებასა და ინტერესს იჩენდნენ გერმანელები, ფრანგები, უკრაინელები, ბერძნები, ბულგარელები, ირლანდიელები და სხვები.

უახლოესი მეზობელი ქვეყნებიდან საქართველოს ტურისტული პოტენციალით ინტერესდებიან თურქები, სომხები, აზერბაჯანელები და ირანელები.

საინტერესო სურათს იძლევა საქართველოში ჩამოსულ სტუმართა რიცხოვნობის ცვლილება ცალკეული რეგიონების, მოგზაურობის მიზნისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით.

საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემების მიხედვით უცხოელი მოგზაურების რიცხოვნობა ბოლო ერთ წელიწადში ასეთი დინამიკით ხასიათდება:

საქართველოში ჩამოსულ უცხოელ მოგზაურთა რიცხოვნობა

რეგიონების მიხედვით

ცხრილი №2

რეგიონი	2009 6 თვე	2010 6 თვე	ზრდის ტემპი %
ევროპა (დსთ-ს გარეშე)	207635	278656	134.2 %
სამხრეთ აზია	4974	9710	195.2%
ამერიკა	7589	9677	128.1%
აღმოსავლეთ აზია/ ოკეანეთი	4744	6327	133.1%
ახლო აღმოსავლეთი	1048	1252	119,2%
აფრიკა	350	1079	308.2%

დსთ	346547	474450	137.0%

წყარო: საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.

როგორც №2 ცხრილიდან ჩანს, ბოლო ერთი წლის მონაკვეთში, უცხოელ მოგზაურთა რიცხოვნობა ჩვენ ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა: ევროპიდან (დსთ-ს გარეშე)

შემოსულთა რიცხოვნობა გაზრდილია 34, 2%-ით, ხოლო დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსულთა რიცხოვნობა 37%-ით. აღსანიშნავია ისიც, რომ ტურისტების რიცხოვნობის აბსოლუტური მატება ძირითადად ამ რეგიონებზე მოდის და შესაბამისად ის შეადგენს 71 021 და 127 903 ერთეულს. საერთო ჯამში უცხოელ მოგზაურთა რიცხოვნობამ 2010 წლის 6 თვეში შეადგინა 782932 კაცი, რაც 2009 წლის შესადარის პერიოდთან შედარებით აბსოლუტურად გაზრდილია 208 928 ერთეულით. ზრდის ტემპი შეადგენს 36%-ს (იხ. გრაფიკი 1)

რიცხოვნობასთან ერთად საინტერესო სურათს იძლევა საქართველოში სტუმართა რაოდენობის ცვლილება ჩამოსვლის ადგილისა და მიზნის მიხედვით.

მოგზაურობის მიზნიდან გამომდინარე უცხოელი ტურისტები ასეთი სტრურტურით ხასიათდებიან { იხ. დიაგრამა №1):

უცხოელი ტურისტების ჩამოსვლების დინამიკა

2009-2010 წწ.

გრაფიკ №1



როგორც №1დიაგრამიდან ჩანს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულთა საერთო რიცხოვნობაში (781650) **„საქმიანი ან პროფესიული აქტივობის მიზნით**" შემოსულთა რიცხვი (263848 ტურისტი) ყველაზე დიდი აქტივობით ხასიათდება და შეადგენს 34%-ს, **„მეგობრებისა და ნათესავების მონახულების მიზნით"** მოგზაურობს 24% ანუ 185 555 ტურისტი და ა. შ.

მოგზაურობის მიზანთან ერთად ასევე საინტერესოა საქართველოში შემოსულ უცხოელ მოგზაურთა ასაკობრივი სტრუქტურა. ოფიციალური მონაცემებიდან გამომდინარე მოგზაურებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით ხასიათდება 35-44 (30%) , 25-34 (29%) და 45-54 (21%) წლის ასაკის მოსახლეობა. შემდეგ მოდის 16-24 წლის და 55-64 წლის ასაკი მოსახლეობა, მათი ხვედრითი წილი შეადგენს ცხრა-ცხრა პროცენტს, და ბოლოს მოდის 65 და მაღალი ასაკის მოსახლეობა, რომელთა აქტივობა ამ კუთხით შედარებით დაბალია და შეადგენს 2% -ს. რაც შეეხება სქესს, მოგზაურთა საერთო რიცხოვნობაში საგრძნობლად სჭარბობს მამაკაცები. ისინი შეადგენენ უცხოელი მოგზაურობის 81 %-ს, ქალბატონები კი - 19%-ს.

საქართველოში მოგზაურობის მიზნები

დიაგრამა №1



მსოფლიო ექსპერტთა მონაცემებით მომავალში ტურიზმი კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს შეიძენს. თუ ბოლო პერიოდის მონაცემებით მსოფლიოში დაფიქსირდა 715 მლნ. ტურისტი და ვიზიტორი, რომლებმაც იმ ქვეყნებს სადაც ისინი იმყოფებოდნენ 500 მლრდ. აშშ დოლარამდე შემოსავალი მოუტანეს, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზით, 2020 წლისათვის ტურისტების რიცხვი 1560 მილიონამდე გაიზრდება, ანუ უახლოესი 10 წლის განმავლობაში გაორმაგდება. ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი მოსალოდნელია აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში. მომსახურების ამ სეგმენტიდან

შემოსავლები გაიზრდება 5-ჯერ. 1995 წლის 399 მლრდ. დოლარიდან 2020 წლისათვის 2 ტრილიონ დოლარამდე, მნიშვნელოვნად გაიზრდება დანახარჯი ერთ მოგზაურზე (შესაბამისად 707 დოლარიდან 1248 დოლარამდე), საპროგნოზო პერიოდში ტურისტებისათვის ყველაზე მიმზიდველი ქვეყანა გახდება ჩინეთი.

უახლოეს ათწლეულში ტურიზმი განსაკუთრებით განვითარდება აზიის რეგიონში (კერძოდ, ჩინეთში, ჰონკონგში), და მექსიკაში. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ განვითარებად ქვეყნებში ტურიზმი უფრო მაღალი ტემპით განვითარდება, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. რაც ტურიზმს, ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ტურიზმის ექსპორტი ანუ ტურისტული მომსახურების გაყიდვა უცხოელებზე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შიდა ბაზრის განვითარებას.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზით მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ტურისტული მიმართულებები იქნება:

2020 წლისათვის მსოფლიოში ყველაზე პოპულარული

ტურისტული მიმართულებები

ცხრილი № 1

ქვეყნები	ჩამოსული ტურისტების რაოდენობა(მლნ.)	წილი მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე (%)	მატების ტემპი 1995-2020 წწ. (%)
ჩინეთი	137.1	8.6	8.0
აშშ.	102,1	6.8	3.5

საფრანგეთი	93.3	5.8	1.8
ესპანეთი	71.0	4.4	2.4
ჰონკონგი	59.3	3.7	7.3
იტალია	52.9	3.3	2.2
დიდი ბრიტანეთი	52.8	3.3	3.0
მექსიკა.	48.9	3.1	3.6

წყარო: შუბლაძე გ. , დოლიკაშვილილ. და სხვა. ტურიზმის მარკეტინგი. თბ. 2007, გვ. 36.

ცივილიზებულ სამყაროში საზოგადოების წევრთა სულიერი ფასეულობები მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. იცვლება ადამიანების დამოკიდებულება თავისუფალი დროის გამოყენების მიმართ. ისინი უფრო მეტად ცდილობენ თავისუფალი დრო გამოიყენონ მიზანმიმართულად. აღნიშნულ ვითარებას კი დიდად უწყობს ხელს მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, სატრანსპორტო საშუალებების და კომუნიკაციური ურთიერთობების სწრაფი ტემპით განვითარება. დღითი-დღე იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, ვინც უფრო მეტად არის დაინტერესებული შეიცნოს გარემომცველი სამყარო და სხვა ერის კულტურული მონაპოვარი, დაისვენოს საზღვარგარეთის კურორტებსა და თვალწარმტაც ბუნებაში, ეწვიოს მსოფლიოს სახელგანთქმულ მუზეუმებს და ა. შ. დღეს შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მსოფლიოს უმსხვილესი ქალაქები უცხოელი ტურისტების გარეშე. ტურისტები გვხვდებია ყველგან - პარიზში, ლონდონში, რომში, ნიუ-იორკში პეკინში, მოსკოვში, თბილისსა და მსოფლიოს სხვა ქალაქებში. ტურისტულმა ინდუსტრიამ მოიცვა არა მარტო ევროპა, არაედ ამერიკა, აფრიკა, აზია და ავსტრალია.

ტურიზმისა და კურორტების განვითარებაში წამყვანი როლი სახელმწიფოს ეკუთვნის. მისი განვითარება დამოკიდებულია, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინვესტიციებზე. ამ უკანასკნელის წასახალისებლად სახელმწიფომ ქმედითი ღონისძიებები უნდა გაატაროს და

ტურიზმი სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობის საფუძველზე განავითაროს. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს არა მარტო ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის ზრდას, არამედ ,,ცხოვრების ხარისხის" გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1.ასათიანი რ. მომსახურება და საბაზრო სისტემა,თბ., 1993.

2. ადეიშვილი გ. ასათიანი რ. ეკონომიკური თეორია, სახელმძღვანელო, თსუ., 1998.

3. დავითულიანი ც. ტურიზმის გეოგრაფია, ქუთაისი, 2008.

4.შუბლაძე გ. , დოლიკაშვილი ლ. და სხვა. ტურიზმის მარკეტინგი. თბ. 2007, გვ. 36.

5.www cnf.ca

6.www world tourism.org

7. www tourism. ge